პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 21 (1191) | სამშაბათი, 18 თებერვალი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი. | ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გვჭირდება სპორტული ლიტერატურა

ჩვენი გაზეთის გასულ ნომერში გამოვაქვეყნეთ იმ ლიტერატურის სია, რომელსაც მიმდინარე წელს გამოსცემს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო". აი ისიც: პროფესორი კუნჭულია „ცილების ცვლა კუნთოვანი მუშაობისა და წვრთვნის დროს", სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ანთაძე — „ფეხბურთელის მოგონებანი", ლ. გიორგაძე — „მძლეოსნობა". წერილების კრებული „კავკასიონზე", ე. ლასკერის „ჭადრაკის თამაშის სახელმძღვანელო" და... ამით ამოიწურა მიმდინარე წლის გამომცემლობის გეგმა ფიზკულტურისა და სპორტის დარგში. იქნება რომელიმე გამომცემლობას აქვს კიდევ სპორტული ლიტერატურის გამოცემა გადაწყვეტილი? ჩვენ გვგონია, რომ არც ერთს. და ასე გრძელდება წლობით. გამოსაცემი წიგნების სია დგება, შემდეგ იკვეცება, იკვეცება და ბოლოს აი ასეთ სურათს ვიღებთ.

რას ვაძლევთ ჩვენ რესპუბლიკაში კულტივირებულ სპორტის სახეობათა მწვრთნელებსა და სპორტსმენებს მეთოდურ ლიტერატურიდან — არაფერს. მაშ როგორ მოვთხოვოთ მწვრთნელს, სპორტსმენს კვალიფიკაციის ამაღლება, შემდგომი დახელოვნება თუ მას არ ექნა სათანადო ლიტერატურა, სადაც ამოიკითხავს, შეითვისებს იმ სიახლეებს, რომლებიც უკანასკნელ წლებში მოხდა სპორტის ამა თუ იმ სახეობაში? სასიამოვნოა, რომ რესპუბლიკაში უხვად შემოდის მოსკოვსა და ლენინგრადში დაბეჭდილი სპორტული ლიტერატურა, რომელიც გვასაზრდოებს. მაგრამ, სამწუხაროდ, არა ყველას. რესპუბლიკის რაიონებში მომუშავეთათვის იგი მიუწვდომელია და, რა დასამალია, რომ რუსული ენის უცოდინარობის გამო — გაუგებარიც.

ჩვენ აქ არ დავიწყებთ იმაზე ლაპარაკს, თუ ლიტერატურას რა დიდი წვლილი შეაქვს ამა თუ იმ დარგის განვითარებაში. ეს ბევრჯერ ითქვა, დაიწერა და ყველამ იცის, მაგრამ საქმეს მაინც არ ეშველა. არ გვემტყუნება გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს". მას ჩვენს გარდა საზრუნავი ბევრი აქვს და სწორედ იმიტომ გამოიყურება სპორტული ლიტერატურის გამოცემის მისი სია ასე ღარიბულად.

საჭიროა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტს ჰქონდეს საკუთარი გამომცემლობა, რომელიც დამოუკიდებლად შეძლებს ამ საქმის მოგვარებას. როდესაც ასეთი დაწესებულება ჩამოყალიბდება მის მუშაობაში უაღრესად აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ფიზკულტურისა და სპორტის დარგში მომუშავე მეცნიერ მუშაკები და სპორტის ვეტერანები, რომელთა გამოცდილების განზოგადოებას დიდი ხანია ელიან ჩვენი სპორტსმენები. ახლა კი ასეთი მდგომარეობაა: ჩვენ ვუსაყვედურებთ მეცნიერ მუშაკებს ვეტერანებს, რომ ისინი ცოტას სწერენ, დასწერენ და შემდეგ დააქვთ თავიანთი შრომები გამომცემლობიდან გამომცემლობაში, ბოლოს ხელს ჩაიქნევენ და თაროზე შეაგდებენ. ასეთ ფაქტსაც ჰქონდა ადგილი: ი. კოლტანოვსკიმ და გ. რცხილაძემ დასწერეს წიგნი სპორტულ ტანვარჯიშზე, რომელმაც სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა. გამოვიდა რუსულ ენაზე და ჩინურადაც, მაგრამ მისი გამოცემა ქართულ ენაზე ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევძელით.

ჯერ კიდევ ამ სამი წლის წინად დავსვით საკითხი სპორტული თერმინოლოგიის დაწყებული საქმის დამთავრების შესახებ. საქმე თითქოს დაიძრა ადგილიდან, შედგა სარეცენზიო მაკეტი და... ყველაფერი ამით დამთავრდა. სპორტული თერმინოლოგია ჰაერივით გვჭირდება. გარეშე პირმა მეცადინეობის დროს ჩვენი მწვრთნელების ენას რომ დაუგდოს ყური ვერაფერს გაიგებს. „პერეხვატი", „სკრიტი კასი", „ზახვატი", „ბრასოკი", „პადაჩა" და ათასი სხვა რუსული ტერმინი ქართულთან ერთად ძნელი ასათვისებელია ბავშვისათვის. თერმინოლოგიის გამოცემის საქმეს ჩვენი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი რომ ითავებდეს (და ეს მისი სისხლხორცეული საქმეა) მწვრთნელებს ერთი ორად გაუადვილდებათ საქმე და ბავშვებიც ადვილად აითვისებენ მასალას.

ჩვენ აქ არ ვილაპარაკებთ მხატვრულ ლიტერატურაზე. ეს სულ სხვა თემაა. საქართველოს მწერლებს ჩვენმა მოწინავე სპორტსმენებმა გაზეთ „ლელოს" საშუალებით სამჯერ მიმართეს ღია წერილით, სადაც ისინი თხოვდნენ შეესწავლათ და მხატვრულ ლიტერატურაში აესახათ მათი ცხოვრება, მაგრამ ამაოდ დაშვრენ. როგორც ჩანს, საქართველოს მწერლებს შეჯიბრებებზე დასწრება უფრო აწყობთ, ვიდრე შეჯიბრებების მონაწილეებზე ნაწარმოებების შექმნა.

გვჭირდება სპორტული ლიტერატურა. მეთოდური იმისათვის, რომ ავამაღლოთ სპორტსმენთა ოსტატობის დონე, მხატვრული კი იმისათვის, რომ სტიმული მივცეთ სპორტსმენს და რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდები მივიზიდოთ სექციებში. ეს საკითხი უნდა გადაიჭრას, რადგან წინ მეტად საპასუხისმგებლო შეჯიბრებები გველოდება. მოქმედ თაობას რეზერვი უნდა, რეზერვს კი გაზრდა. სათანადო ლიტერატურის გარეშე ეს საშვილიშვილო საქმე მეტად გაძნელდება.







ამ დღეებში ბაკურიანში დამთავრდა რესპუბლიკური პირველობა სათხილამურო სპორტში.

სურათზე: (ზევით) სლალომის ტრასაზე (შუაში) ქალთა ამანათრბენში 4×5 კმ-ზე გამარჯვებული თბილისის გუნდი. მარჯვნიდან — თ. დიაკონაშვილი, ვ. გავა, ზ. კორჩაგინა და ზ. სანეევა. (ქვევით) თბილისის გუნდი მარჯვნიდან — შ. კობახიძე, ვ. სუხანოვი, ი. საკი და ჟ. ბირიუკოვი, რომლებმაც ჩემპიონობა მოიპოვეს ვაჟთა ამანათრბენში.

## გადამწყვეტი პარტიის ფინალი

ჭადრაკის მოყვარულები გაკვირვებული დარჩნენ, როცა გაიგეს რომ დიაგრამაზე მოყვანილი პოზიცია სპასკიმ წააგო.

როგორ მოხდა ეს?

სპასკის აუცილებლად ჭირდებოდა გამარჯვება. მოგების შემთხვევაში იგი იყოფდა ბრონშტეინთან ერთად III-IV ადგილს და გადიოდა საზონათაშორისო ტურნირში. ყაიმის შემთხვევაში იგი ი. ავერბახთან იყოფდა IV-V ადგილს, და საზონათაშორისო ტურნირში მოსახვედრად დამატებით მატჩში უნდა დაემარცხებინა ი. ავერბახი. ამიტომ ბ. სპასკი ჭაბუკური ჯიუტობით იბრძოდა გამარჯვებისათვის, იქაც კი, სადაც სამისო შანსები აღარ იყო. სპასკიმ პარტია წააგო და დაკარგა მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლის უფლება.

მ. ტალი



a b c d e f g h

ბ. სპასკი

46. ლf4+ (ყაიმი გამოდიოდა 46. ლd8+ ლe7 47. ლ:d5 ე:g2+ შემდეგ მუდმივი ქიშით) 46. ... ლf5 47. ლh6 მფe7 48 ლf3+ მფf6 49. ლg7+ მფe7 50. ეa8 ლd7 51. ლf8+ მფf6 52. ეa6+ ეe6 53. ლh8+ მფe7 54 ეa3 ეe1 55. მფg3 h5 56. მფf2 ეe6 57. ეc8 აქ უკვე აღარ ჩანს მოგება. ამიტომ სავსებით გონივრული იქნებოდა ყაიმზე შეთანხმება. მაგრამ სპასკი ჯიუტობს და მოგებაზე განაგრძობს თამაშს.

57. ... ეd6 58. ლf8+ მფf6 59. ეc8 ეe6 60. ლh8+ მფf5 61. ლh6 მფf6 (ცუდია 61. ... ე:c8+, ამის გამო 62. ლg5+ და 63. ლe5×!) 62. ლh8+ მფf5 63. ეd3 (ახლა ინიციატივას ეუფლებიან შავები) 63. ... ლc6 64. ეc8 ლa6 65. მფg3 ლd6+ 66. მფh3 ეe1 67. g3 (თეთრები იძულებული არიან გადავიდნენ დაცვაზე) 67. ... ეg1 68. f4 ეe1 69. კc2 (უკანდახევა, მაგრამ უკვე გვიანაა) 69. ... ლe6 70. ეf2 ეh1+ 71. მფg2 ლe4+ 72. ეf3 მფg4 73. ლc8+ f5 თეთრები 74. მფ:h1 ლ:f3+ შემდეგ ჰკარგავენ ყველა პაიკს, ხოლო 74. ლc3 შემდეგ იგებს 74. ... ეh3. ამიტომ სპასკი დანებდა.

ამით მ. ტალი გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი, ხოლო ი. ავერბახი გავიდა საზონათაშორისო ტურნირში.

## საიუბილეო

რესპუბლიკის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გრძელდება თბილისის ჩემპიონატი ჭადრაკში. ტურნირში უკვე გათამაშებულია VIII ტური.

შეჯიბრების სტარტზევე გამოიყო მონაწილეთა ერთი ჯგუფი, რომელმაც ხელთ იგდო ლიდერობა და თუ დაწინაურებულთა შორის ცხარე ბრძოლები გაიმართა ტურნირში მეთაურობისათვის, დანარჩენები ძალზე ჩამორჩნენ. ახლა წინ არიან თ. გიორგაძე (6,5 ქულა), გ. გამრეკელი (6 ქულა), გ. მაჭავარიანი, ე. გერსამია (5,5 ქულა თვითეულს) და გ. კალატოზიშვილი (5 ქულა). ჩამორჩენილთა შორის ვხედავთ ახალგაზრდა ბ. პეტრიაშვილს (0,5 ქულა), თ. კიკიანს (1 ქულა და ორი გადადებული პარტია), ჰ. არნშტეინს, ე. მაიდანსკის (1,5 ქულა და თითო გადადებული პარტია) და ოსტატ ა. ებრალიძეს (1,5 ქულა).

სამ წელზე მეტი არ უთამაშია ა. ებრალიძეს და ამიტომ მისი ასეთი შედეგები სავსებით გასაგებია. გაკვირვებას იწვევს თ. კიკიანის სუსტი თამაში. იგი ისევე ძველი სადებიუტო რეპერტუარით გამოდის, ხშირად უშვებს შეცდომებს. ბ. პეტრიაშვილს კარგი მონაცემები აქვს, მაგრამ ზერელად ეკიდება პოზიციის შეფასებას, ზედმეტად ენდობა თავის ინტუიციას და ხშირად უსაფუძვლოდ სწირავს პაიკებს. მაიდანსკი გადაჭარბებული სიფრთხილით იბრძვის. მას მეტი გამბედაობა მართებს.

ბრძოლა გრძელდება...

## მსოფლიოს ჩემპიონის სახელისათვის

მოსკოველები ინტერესით ესწრებიან ო. რუბცოვასა და ე. ბიკოვას მატჩ-რევანშს, რომელიც საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მიმდინარეობს.

ყველას აინტერესებდა V პარტია, რომელიც ბიკოვასათვის უარეს პოზიციაში იყო გადადებული. მაგრამ ექს-ჩემპიონმა არ მოისურვა მისი გაგრძელება და დანებდა.

VI პარტიაში, რომელიც 15 თებერვალს გათამაშდა, ბრძოლა თავიდანვე მწვავედ წარიმართა, მაგრამ პარტია ამ დღეს არ დამთავრებულა. მეორე დღეს მისი დამთავრება 63-ე სვლამდე გაგრძელდა, სადაც მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, VI პარტიის შემდეგ წინაა მსოფლიო ჩემპიონი ო. რუბცოვა 4:2.

## ო. გონჩარენკო—მსოფლიო ჩემპიონი * „სპარტაკის" მეორე გამარჯვება

ჰელსინკი. აქ დამთავრდა მსოფლიო პირველობა ფიგურებით ჩქაროსნულ რბენაში. წარმატება ხვდა წილად ევროპის ჩემპიონ ოლეგ გონჩარენკოს (სსრკ), რომელმაც მოიპოვა პირველი ადგილი. მას გადაეცა მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი. მეორე ადგილზე გამოვიდა ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი ბ შილკოვსკი.

* * *

ჯაკარტა. მოსკოვის „სპარტაკის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა ჩაატარა მეორე ამხანაგური შეხვედრა ინდონეზიის ნაკრებთან. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 3:2 საბჭოთა სპორტსმენების სასარგებლოდ.

# ვილაპარაკოთ გასაგები ენით

რა არის „გორილი", „ფეხდრეკილი" ან „უკუბიჯირი?"

თითქოს ქართული სიტყვებია, მაგრამ ჩვეულებრივი, „რიგითი" მსმენელი და წამკითხველი მათ ვერ განმარტავს. არა თუ განმარტება, იმისი წარმოდგენაც ძნელია, თუ რა არის „უკუბიჯირი".

ეს ძველი ქართული ტანვარჯიშული თერმინებია, რომლებიც აქამდეა შემორჩენილი ხმარებაში და დღემდე ბუნდოვანია მათთვის, ვისაც თვითონ არ გაუკეთებია ეს ილეთები, ან არ უნახავს მაინც მათი შესრულება.

არცაა გასაკვირი. ძნელია ყოველდღიურ ხმარებაში ფეხი მოიკიდოს ხელოვნურად შედგენილმა, ნაძალადევად და ნაწვალევად შეკოწიწებულმა თერმინმა, რომელიც ბუნებრივი სიტყვების არაბუნებრივ სუროგატს წარმოადგენს და არ გამოხატავს მოვლენების არსს. განსაკუთრებით უაზროა ისეთი თერმინების კომბინაცია, რომელიც უნდა აღწერდეს რაიმე ტანვარჯიშულ ნაერთს, მაგრამ სინამდვილეში რაღაც აბსურდულ ქაოსს ქმნის.

მართალია, თერმინოლოგიის შედგენისას ვერ აცდები ერთგვარ ხელოვნურობას, შეიძლება საქმე ორი სიტყვიდან ერთის . შედგენამდეც მივიდეს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სიტყვის დამახინჯება, მისი თვითნებური შეცვლა. სიტყვას ყოველთვის უნდა ჰქონდეს კონკრეტული, ნათელი და გარკვეული აზრი. მას ყოველთვის უნდა ახასიათებდეს საგნობრიობა, რომ კაცს არ ჭირდებოდეს ლექსიკონის ტარება ჯიბით, რათა თითით ეძებოს სასურველი სიტყვის მნიშვნელობა.

განა იშვიათია შემთხვევა, როცა ტანვარჯიშულ შეჯიბრებებზე დამსწრე მაყურებლები შესრულებულ ელემენტს რუსულ ენაზე ასახელებენ? ტანვარჯიშის სპეციალისტები იძულებული არიან ქართულ ლაპარაკში იხმარონ რუსული სიტყვები, რომ მოსაუბრეს უფრო იოლად გააგებინონ საუბრის მნიშვნელობა (?!) თუ არა და მაშინ ხელებით, ჟესტიკულაციით უნდა გამოხატონ ის მოძრაობა ან ილეთი, რომლის აღნიშვნაც მათ სურთ.

თერმინოლოგიის საკითხები ფიზიკური აღზრდის დარგში სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობისათვის ჯერ კიდევ აქტუალურ და დღემდე გადუჭრელ პრობლემას წარმოადგენს. ათეული წლებია წარმოებს ცდები, გამარტივებულ იქნას ტანვარჯიშული თერმინოლოგია იმ მიზნით, რათა გაადვილდეს მუშაობა მომეცადინეებთან, მაგრამ საქმე ამ ცდებს არ გაცილებია და დღეს ჯერ კიდევ შორსა ვდგავართ ამ საჭირო და მნიშვნელოვანი პრობლემის საფუძვლიანი გადაჭრისაგან.

დღეს არსებული თერმინოლოგია ბუნდოვანსა ხდის ილეთის ან ილეთთა კომბინაციის ჭეშმარიტ არსს, იწვევს დამახინჯებებს პრაქტიკულ საქმიანობაში, ამიტომ საჭიროა იგი გაიწმინდოს ზედმეტი და უვარგებელი სიტყვებისა და არასწორი გაგებისაგან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ყოველმხრივი მოწონების ღირსია საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის თანამშრომლების თ. სანებლიძისა და გ. გოგნიაშვილის ცდა, რომელთა მიზანია ქართული ტანვარჯიშული თერმინოლოგიის გამარტივება. ეს საკითხი მათ მიერ გამოტანილ იქნა აღნიშნული კათედრის სამეცნიერო თეორიულ კონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში მოეწყო ფიზკულტურის ინსტიტუტში. პირველ ყოვლისა, მისასალმებელია ის, რომ თ. სანებლიძისა და გ. გოგნიაშვილის ეს ცდა საკითხის უბრალოდ დაყენება კი არაა, არამედ პრაქტიკულად დამუშავებული ნაშრომი, რომელიც მთლიანად გამსჭვალულია ერთი მისწრაფებით — ხმარებაში დამკვიდრდეს მარტივი, ყველასათვის გასაგები თერმინოლოგია.

ეს მთავარია. დანარჩენი, თუ სანებლიძესა და გოგნიაშვილს რაიმე შეცდომები ექნათ ახალი თერმინოლოგიის შექმნაში ან გაუჭირდათ მარჯვე სიტყვების შერჩევა დახმარების გაწევა მათთვის ყოველთვის შეიძლება.

ასე მოიქცნენ ოდესღაც რუსეთშიც. იქ თითქმის 1938 წლამდე იარსება ე. წ. ჩეხურმა ტანვარჯიშულმა თერმინოლოგიამ, რომელიც 1911 წელს იქნა თარგმნილი მანოხინას მიერ. ეს თარგმანი არ გამომდინარეობდა რუსული ენის ბუნებიდან, არ იყო გათვალისწინებული მისი კანონები და ამის შედეგად რუსული ტანვარჯიშული თერმინოლოგია გადაიტვირთა უცხო სიტყვებით, გაუგებრობებით. შემდგომში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში გ. ს. ეგნატაშვილიც შედიოდა და მან შემდეგ რუსულ ენაზე არსებობს ზუსტი, მოკლე და გასაგები თერმინოლოგია.

აი სწორედ ასეთი თერმინოლოგია გვჭირდება ჩვენც, თერმინოლოგია, რომელიც ახლოს იქნება ცოცხალ სალაპარაკო ენასთან. გადაჭრით უნდა იქნას დაგმობილი ძველი, ე. წ. „შევარდნული" თერმინოლოგია, რომელიც აგრეთვე შედგენილი იყო ჩეხური „სოკოლის" მიბაძვით და, თუმცა ცვლილებებით, მაინც დღემდეა შემორჩენილი, მით უმეტეს, რომ ქართული ენის თავისებურება საშუალებას იძლევა შევქმნათ ჩვენი კარგი ტანვარჯიშული თერმინოლოგია.

არ უნდა დავკარგოთ ის, რაც კარგია ძველს თერმინოლოგიაში, მაგრამ მისი შექმნის შემდეგ ბევრი დრო გავიდა, ტანვარჯიში გამდიდრდა ახალი ილეთებით, ნაერთებით. მათი „მონათვლაც" აგრეთვე საჭიროა გასაგები, მისაწვდომი ენით.

საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა ამ სამიოდე წლის წინ დაინტერესებულ პირებს და ორგანიზაციებს დაურიგა „რუსულ-ქართული სპორტული თერმინოლოგიური ლექსიკონის მაკეტი", რომელიც კოლექტიური შრომის ნაყოფს წარმოადგენს და უდავოდ დიდი შენაძენია იმ დარგში, რომლისათვისაც განკუთვნილია. მაკეტი მოიცავს სპორტის ყველა სახეობას და ასე თუ ისე აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მაგრამ გავიდა ის სამი წელი და მაკეტმა ჯერ კიდევ ვერ მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება. იგი ჯერ კიდევ მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი ტირაჟით აქვთ შემორჩენილი ცალკეულ პირებსა და ორგანიზაციებს და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მის შემდგენლებს აღარც ახსოვთ თავიანთი „შვილობილი". გარდა ამისა, მაკეტს ბევრი ნაკლოვანი მხარეც აქვს, რომელთა გამოსწორება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. საცა წესი და რიგია, იგი კარგა ხანია უნდა შეესწორებინათ მის მესვეურთ და გამოეცათ კიდეც.

თუ დავუპირისპირებთ მაკეტში მოცემულ და თ. სანებლიძისა და გ. გოგნიაშვილის მიერ რეკომენდებულ თერმინებს, არ შეიძლება ბევრ რამეში არ დავეთანხმოთ ამ უკანასკნელთ, ვინაიდან ისინი უფრო ახლოს დგანან როგორც მოვლენებთან, ისე მათს განმარტებებთან. მაკეტში, მაგალითად ვხვდებით ორი სულ სხვადასხვა ვარჯიშის დასახელებას რუსულად და მათი თარგმანი ქართულად ერთიდაიგივე სიტყვებითაა წარმოდგენილი: „კაცვით აქნევი".

მაკეტში რუსულად წერია: спад головой вперёд — თარგმნილია „დასწრაფვა." საწინააღმდეგო მოძრაობა спад головой назад—წოდებულია „უკუდასვლად". რატომ აქვს ერთიდაიგივე მოძრაობას სხვადასხვა განმარტებითი ტერმინი? თუ ეს დასვლაა, იყოს „წინდასვლა" და „უკუდასვლა". განა მოძრაობის მიმართულების ცვლა თერმინის შეცვლას უნდა იწვევდეს?

გაუგებარია, მაგალითად, თუ რუსული пристав ногу ნათარგმნია როგორც „მიადგი ფეხი", რა საჭირო იყო приставить ногу ეთარგმნათ ასე — „მოფერხვა".

მაკეტში перетягивание каната უთარგმნიათ —„ბაგირის ჭიმოჭიმვა". რატომ უნდა ვიხმაროთ ასეთი ორსართულიანი სიტყვა — მიმოჭიმვა, როცა მას გაცილებით ჯობია „ბაგირის გადაძლევა", როგორც ამას თ. სანებლიძე და გ. გოგნიაშვილი გვთავაზობენ.

თერმინოლოგიის მხრივ ჩვენში ყველაზე უფრო გაჭირვებაშია ტანვარჯიში, მაგრამ სპორტის სხვა სახეობებიც არ არიან სახარბიელო მდგომარეობაში. და აქაც ბევრ რამეში შეიძლება საეჭვოდ მივიჩნიოთ მაკეტში რეკომენდებული თერმინები. მაგალითად, ვინ იხმარს ველოსპორტში „ადევნებულ რბოლას" როცა შეიძლება ვთქვათ „სალიდერო რბოლა", ან რატომ უნდა ვიხმაროთ „ხელგრანატი", როცა ვლაპარაკობთ „ხელყუმბარას", რა აზრი აქვს უარვყოთ „ათჭიდელი" და ვთქვათ „ათმოჭიდელა?".

ცურვის ყველაზე სწრაფ ხერხს მთელს მსოფლიოში კროლს უწოდებენ და იგი ასევეა მოცემული მაკეტში, მაგრამ ასევე გავრცელებული ბრასი რატომღაც ნათარგმნია როგორც „ბაყაყური". საერთოდ, ჩვენის აზრით არაა საჭირო ისეთი სიტყვების გადმოქართულება, რომლებსაც საერთაშორისო გავრცელება აქვთ (მაგალითად, სლალომი, გოლი, ტრამპლინი, რინგი, სტარტი და მრავალი სხვა).

ერთი სიტყვით, დროა ჩვენში მოწესრიგდეს სპორტული თერმინოლოგიის საკითხი. კერძოდ ყოველგვარი ხელშეწყობა და დახმარება უნდა გაეწიოს თ. სანებლიძისა და გ. გოგნიაშვილის მიერ შედგენილი ტანვარჯიშული თერმინოლოგიის წიგნად გამოცემას შესაბამისი სერიოზული რედაქციის შემდეგ.

გადასინჯვა და შევსება უნდა ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მაკეტსაც, რის შემდეგ იგიც უნდა გამოიცეს ხელმისაწვდომი ტირაჟით. ეს დიდად დაეხმარება ფიზკულტურისა და სპორტის დარგში მომუშავე სპეციალისტებს, სპორტსმენებს, ამ საქმის მრავალრიცხოვან მოტრფიალეთ.

**ბ. ქორქია**

---

# გაუმჯობესდა ფიზკულტურული მუშაობა

საგრძნობლად გაუმჯობესდა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა კოხნარის საშუალო სკოლაში (ჩოხატაურის რაიონი). წესრიგში იქნა მოყვანილი ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, გააქტიურდა სპორტული სექციების საქმიანობა.

სკოლის სპორტულ მოედნებზე სისტემატურად ტარდება შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

**დ. გურგენიძე**

# რამდენიმე სახეობაში

ბოდბის საშუალო სკოლაში გაიმართა შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ფეხბურთში შიდასასკოლო პირველობის გათამაშებაში ჩემპიონობა მოიპოვა მე-11 კლასის გუნდმა. 100 მეტრზე რბენაში პირველები იყვნენ ძმები ვ. და რ. ჭარყაშვილები. ურნის ტყორცნაში საუკეთესო შედეგი აჩვენა დ. ქოქიაშვილმა.

**ბ. ბერიაშვილი**

# ნორჩთა შეჯიბრებანი

ნორიოს საბავშვო სახლში მოეწყო შეჯიბრება ჭადრაკში, შაშსა და მაგიდის ჩოგბურთში. ჭადრაკში ჭაბუკებს შორის პირველ ადგილზე გამოვიდა ვ. რუსენკო. გოგონებს შორის გამარჯვება წილად ხვდა ნ. ბეზუკლადნიკოვას. შაშში გამარჯვებულნი გამოვიდნენ ა. ფურცელაძე და ლ. ლოლუა, მაგიდის ჩოგბურთში — ს. შუბაშიშვილი და ც. ვინენკო.

**ა. ახკურავა**

---





# სამი რესპუბლიკური რეკორდი

სპორტსაზოგადოება „განთიადის" ფიზკულტურის სახლში დამთავრდა თბილისის პირად-გუნდური პირველობის პირველი ტური ძალოსნობაში, რომელშიც მონაწილეობდა 10 ძირეული კოლექტივის 70 უძლიერესი სპორტსმენი.

მჩატე წონაში 12 მონაწილედან უკონკურენციოდ გაიმარჯვა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა სპორტის ოსტატმა რ. დათიკაშვილმა, რომელმაც სამივე მოძრაობაში მნიშვნელოვნად გაუსწრო მეტოქეებს (აჭიმვა 92,5, ატაცი 92,5, აკვრა 115 კგ) და სამჭიდის ჯამში 300 კილოგრამით მოიპოვა პირველობა. სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" წევრმა გ. კამალოვმა, რომელიც მეორე ადგილზე გამოვიდა, პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა — 272,5 კგ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ქვემსუბუქი წონის ძალოსანთა შორის შედეგით 325 კგ გაიმარჯვა სპორტის ოსტატმა ხ. ხანუკაშვილმა („დინამო"). მან აჭიმა 107,5, აიტაცა 97,5 და აჰკრა 120 კგ. მეორე ადგილზე გამოვიდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ძალოსანი ი. წოწოლაშვილი (297,5 კგ).

მეორე დღე მაუბუქი წონის ძალოსანთა შეჯიბრებით დაიწყო. ქ. ჩალათაშვილმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი) დ. ეპრიკიანთან („დინამო") წააგო ატაცში 2,5 კილოგრამი, მაგრამ დანარჩენ მოძრაობებში მნიშვნელოვან უპირატესობას მიაღწია და პირველობა მოიპოვა.

შემდეგ ფიცარნაგზე ქვესაშუალო წონის სპორტსმენები გამოვიდნენ. მათ შორის იყო ვ. რადიმაშვილიც, რომელმაც ამას წინათ ორი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა. მზარდმა ატლეტმა, რომელიც ამ შეჯიბრებაში ფიზკულტურის ინსტიტუტის სახელით გამოდიოდა, პირველობა მოიპოვა. არტელ „ფოლადის" წარმომადგენელ რ. გალოიანთან ორთაბრძოლაში, რომელმაც ამ შეჯიბრებაში სპორტის ოსტატის ნორმას 5 კილოგრამით გადააჭარბა, იშვა სამი რესპუბლიკური რეკორდი.

აჭიმვაში ორივე სპორტსმენმა 125 კილოგრამი დაძლია. შემდეგ მათ მოითხოვეს, რომ სიმძიმე 2,5 კილოგრამით გაეზარდათ. წონა დაძლია გალოიანმა და როცა შტანგა საკონტროლო სასწორზე დადეს, აღმოჩნდა, რომ იგი 0,5 კილოგრამით მეტს იწონიდა და გალოიანს რეკორდად 128 კილოგრამი ჩაეთვალა. მეორე მოძრაობამ ვერ შეძლო გამარჯვებულის გამოვლინება — ვერც ერთმა ვერ დაძლია 115 კილოგრამზე მეტი. ორთაბრძოლის შედეგი აკვრას უნდა გადაეწყვიტა. გალოიანმა პირველ ცდაში 142,5 კილოგრამი აჰკრა და შემდეგ ეს შედეგი 5 კილოგრამით გაზარდა. ვ. რადიმაშვილმა დაძლია რა 145 კილოგრამი, მოითხოვა სიმძიმე გაეზარდათ 152,5 კგ-მდე. სპორტსმენმა აჰკრა ეს სიმძიმე და თავისივე რესპუბლიკურ რეკორდს 2,5 კილოგრამით გადააჭარბა. გარდა ამისა, სამივე მოძრაობის ჯამი 392,5 კილოგრამი, 2,5 კილოგრამით აღემატება მისივე რესპუბლიკურ რეკორდს.

შედარებით სუსტი მაჩვენებლებით გამოვიდნენ საშუალო წონის ძალოსნები, რომელთა შორის საუკეთესო შედეგი ჰქონდა გ. მიმინოშვილს—375 კგ (რკინიგზის ტრანსპორტის ინსტ.) . ქვემძიმე წონაში დინამოელმა კ. ებრალიძემ კარგად აიღო სტარტი — აჭიმა 130 კგ. მაგრამ მეორე მოძრაობაში შეჯიბრებას გამოაკლდა და პირველობისათვის ბრძოლა გაუადვილა გ. სანიკიძეს (ფიზკულტურის ინსტიტუტი), რომელმაც დააგროვა 370 კგ.

მძიმე წონაში უძლიერესი იყო მ. მინასიანი („დინამო"), რომელმაც აჭიმა 120 კგ, აიტაცა ამდენივე და აჰკრა 140 კილოგრამი. მეორე ადგილი დაიკავა ვ. ციხელაშვილმა. ამ წონით კატეგორიაში წარმატებით გამოვიდა ზოოვეტერინარული ინსტიტუტის გუნდის ძალოსანი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ნიკორაძე, რომელმაც აჭიმა 100 კგ, აიტაცა 102,5, აჰკრა 130 კგ და შეჯიბრებაში მესამე ადგილი დაიკავა.

**გ. სამსონაძე**

* * *

**სურათებზე:** მარჯვნივ — ვ. რადიმაშვილი სასწორზე რესპუბლიკური რეკორდის დამყარების შემდეგ, მარცხნივ — რ. გალოიანი სიმძიმის აწევის დროს.

ფოტო ა. ვართანოვისა.



# ზამთრის რესპუბლიკური შეჯიბრება

უკანასკნელ ხანში ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზს ერთი დღითაც არ ჰქონია მოსვენება. აქ თანმიმდევრულად ერთმანეთს ცვლიდნენ ფრენბურთელთა და კალათბურთელთა საკავშირო და რესპუბლიკური შეჯიბრებები. საქართველოს კალათბურთელთა კოლექტივების საზამთრო შეჯიბრება უკანასკნელი ეტაპი იყო სპორტთამაშობათა ერთთვიურის ამ თავისებურ ციკლში.

შეჯიბრებაში მონაწილე აჭარის, აფხაზეთის, თბილისის, ქუთაისის, გორის, წულუკიძის, სამტრედიისა და ფოთის გუნდებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ბოჭორიძემ და უსურვა მათ წარმატება მომავალ ბრძოლებში.

პირველ კალენდარულ დღეს გაიმართა რამდენიმე შეხვედრა. აფხაზეთისა და წულუკიძის რაიონის ქალთა კოლექტივების ძალები იმდენად თანაბარი იყო, რომ შეხვედრას უძლიერესი არ გამოუვლენია — (45:45). დამატებით დროში გამარჯვება აფხაზეთის წარმომადგენლებმა მოიპოვეს — 53:51. მეტად საინტერესო გამოდგა სამტრედიისა და ქუთაისის ვაჟთა გუნდების თამაში. ქუთაისელები გაცილებით მაღალტექნიკურნი იყვნენ თავიანთ მოწინააღმდეგეებზე. სამაგიეროდ ეს უკანასკნელები მეტოქეებს სიმაღლით ჩაგრავდნენ, მაგრამ ამ დიდმა უპირატესობამ ვერ იხსნა სამტრედიის გუნდი. ქუთაისის კალათბურთელებმა თავს მოახვიეს მოწინააღმდეგეს თავისათვის სასარგებლო სტილი და დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 80:60.

მეორე დღის შეხვედრებიდან პირველ რიგში ყურადღების ღირსია აჭარისა და სამტრედიის ვაჟთა კოლექტივების მატჩი. აჭარის კალათბურთელებმა შეხვედრა მშვიდად და დამაჯერებლად დაიწყეს და მოიგეს პირველი ნახევარი — 27:19, მაგრამ შემდგომში დაჰკარგეს ინიციატივა და წააგეს ბრძოლა — 56:49. აჭარელი სპორტსმენები უფრო სერიოზულად და მონდომებით რომ მოკიდებოდნენ თამაშს, შეიძლება შეხვედრის შედეგი სხვაგვარი ყოფილიყო.

მეტად ფრთხილი ბრძოლით აღინიშნა წულუკიძისა და ქუთაისის ქალთა გუნდების შეხვედრა. მთელი თამაშის განმავლობაში მოედანზე გამართული იყო მძაფრი ბრძოლა, რომელშიც უძლიერესი წულუკიძის გუნდი აღმოჩნდა — 33:28. სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ორივე გუნდმა გამოიყვანა ფიზიკურად საკმაოდ მომზადებული და მაღალი ტანის კალათბურთელები.

ერთ დროს აფხაზეთის კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივი რესპუბლიკაში ერთ-ერთ უძლიერესად ითვლებოდა. იგი ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდა და ხშირად ამარცხებდა ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა წამყვან გუნდებს, მათ შორის თბილისის ზოგიერთ კოლექტივსაც. მაგრამ ეს იყო წინათ. დღეს, აფხაზეთის გუნდი მეტად უსუსურ შთაბეჭდილებას ტოვებს. ფოთის გუნდთან წაგებამ (43:78) კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ აფხაზეთში კალათბურთის განვითარებას არავითარი ყურადღება არ ექცევა. ფოთის გუნდმა კი პირიქით, მატჩი მეტად მაღალ დონეზე ჩაატარა და დაგვარწმუნა, რომ მას კარგი მომავალი აქვს.

ქვემოთ მოგვყავს დანარჩენი შეხვედრების ტექნიკური შედეგები: **ქალები:** ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი)-გორი — 48:54; სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი)-ქუთაისი — 46:32; აჭარა-პედაგოგიური ინსტიტუტი (თბილისი) — 65:39; ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი)-აფხაზეთი — 39:31; სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი)-პედაგოგიური ინსტიტუტი (თბილისი)— 58:34.

**ვაჟები:** აჭარა-აფხაზეთი — 71:53; ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი)-ფოთი — 78:40, სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი)-პედაგოგიური ინსტიტუტი (თბილისი) — 79:49. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი)-პედაგოგიური ინსტიტუტი (თბილისი) — 67:53, სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი)-ქუთაისი — 78:63.

* * *

**სურათზე: სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდების წევრები იბრძვიან ბურთისათვის.**

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ფაქტი, რომელიც სინამდვილეს არ შეიცავს

**ჟურნალ „ფიზკულტურა ი სპორტის" 1957 წლის მე-10 ნომერში მოთავსებული იყო შ. ისაკოვის წერილი „ერთი თხუთმეტთაგანი", რომელშიც მოთხრობილია მოძმე უკრაინაში ფიზკულტურული საქმიანობის ჩასახვის ისტორია. აქვე, სხვათა შორის, მოცემულია ერთი მეტად საყურადღებო ფაქტი, რომელიც სინამდვილეს არ შეიცავს. აი ისიც: „... ამ დროს დონბასში დაიწყეს „სოკოლის" ბურჟუაზიული ორგანიზაციების ჩამოყალიბება. იუზოვკაში ასეთი ორგანიზაცია ჩამოაყალიბა საბრძმედო საამქროს ინჟინერმა ნიკოლაძემ (ნაგულისხმევია გ. ნიკოლაძე). მან ფილინის ჯგუფს წინადადება მისცა შეერთებოდა „სოკოლებს". მეტი გზა არ იყო, წინადადება მიღებულ იქნა. ერთ-ერთ მეცადინეობაზე შესვენებისას მუშებმა თავიანთი საყვარელი ახალი სიმღერა „სმელო, ტოვარიში, ვნოგუ" იმღერეს. გაბრაზებულმა ნიკოლაძემ გარეკა ისინი".**

**ჩვენთვის კარგადაა ცნობილი გიორგი ნიკოლაძის მოღვაწეობა არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. წერილის ზემომოყვანილი ნაწილის სიმართლის დასადგენად ვთხოვეთ თავისი აზრი გამოეთქვა გ. ნიკოლაძის ახლო მეგობარს, ცნობილ ქართველ მეტალურგს, სტალინური პრემიის ლაურეატს ირაკლი სიმონის-ძე ლორთქიფანიძეს, რომელმაც არ დააყოვნა და ჩვენს შეკითხვას ამომწურავი პასუხი გასცა, რომელსაც ვაქვეყნებთ.**

ამხანაგო რედაქტორო!

ვპასუხობ თქვენს შეკითხვაზე ჟურნალ „ფიზკულტურა ი სპორტის" 1957 წლის მე-10 ნომერში მოთავსებულ შ. ისაკოვის წერილის შესახებ.

გიორგი ნიკოლაძეს ბავშვობიდან ვიცნობდი — სოფელ დიდი ჯიხაიშიდან, სადაც ზაფხულობით მთელი ოჯახი ჩამოდიოდა ხოლმე არდადეგებზე. ნიკოლაძეებისას მისვლა ძალიან მიყვარდა, რადგან ამ ოჯახში ჩემი ბავშვური ცნობისმოყვარეობა ყოველთვის პოულობდა დამაკმაყოფილებელ განმარტებებს. ყველაზე უფრო მიზიდავდა გიორგის მიერ მოწყობილი მეცადინეობა ტანვარჯიშის მოყვარულ ჯიხაიშელ ჭაბუკებთან.

მაშინ სულ ახალგაზრდა გიორგი ტანვარჯიშთან ერთად ცდილობდა ჩვენში შთაენერგა მათემატიკის, საინჟინრო ხელოვნების და მხარეთმცოდნეობის სიყვარული. ხშირად მოგვიჯდებოდა ხოლმე და მათემატიკურ გასართობებს გვაცნობდა, ან სხვადასხვა საზომი იარაღის დანიშნულებას და მათი მოხმარების ხერხებს გვიხსნიდა.

1913 წელს გიორგიმ პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტი დაამთავრა, რამდენიმე თვე ტულის მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობდა და შემდეგ დონბასში გადავიდა ყოფილი იუზოვკის (ახლანდელი სტალინოს) მეტალურგიულ ქარხანაში. იუზოვკაში ჩასვლისთანავე გიორგიმ ჩამოაყალიბა ტანვარჯიშის მოყვარულთა წრე, რომელიც ძირითადად ქარხანაში მომუშავეებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისაგან შედგებოდა.

მე ამ დროს საშუალო სასწავლებელი დავამთავრე და საინჟინრო სპეციალობაზე სწავლის გაგრძელება მინდოდა. გიორგიმ მირჩია ერთი წლით იუზოვკის ქარხანაში მემუშავა: შენი მომავალი განზრახვისათვის ეს უფრო სასარგებლო იქნება, თანაც ტანვარჯიშული წრის მეცადინეობაში მომეხმარებიო, — მწერდა.

გიორგის რჩევა ჩემთვის ყოველთვის კანონი იყო. ბევრი არ მიფიქრია, იუზოვკაში გავემგზავრე და ქარხანაში დავიწყე მუშაობა. მაშინ საკმაოდ დახელოვნებული მოვარჯიშე ვიყავი და ჩასვლისთანავე წრის მუშაობაშიც ჩავები. მეცადინეობა ჯერ კვირაში ორჯერ გვქონდა, ორ-ორი საათი, საგანგებოდ შემუშავებული განრიგით: მწყობრი, თავისუფალი მოძრაობანი, იარაღებზე ვარჯიში, ნებისმიერი ვარჯიში.

რამდენიმე ხნის შემდეგ მოვარჯიშეთა რიცხვიდან მომავალი მწვრთნელები შევარჩიეთ და მათთან ცალკე მეცადინეობა მოვაწყეთ. ამ ჯგუფში, პრაქტიკულ ვარჯიშთან ერთად, თეორიული მეცადინეობაც ტარდებოდა.

მალე დადგა საკითხი ტანვარჯიშული წრის ორგანიზაციულად გაფორმების შესახებ. მაშინ რუსეთში არსებობდა ტანვარჯიშული საზოგადოებანი „სოკოლის" სახელწოდებით. როგორც მახსოვს, 1914 წლის მარტში, გიორგის თაოსნობით შედგა იუზოვკის „სოკოლის" საორგანიზაციო კრება, რომელზეც გიორგიმ მოხსენება გააკეთა ტანვარჯიშის მნიშვნელობაზე და დამსწრეთ გააცნო საზოგადოების დაარსების მიზანი.

საზოგადოებაში ჩაწერის მსურველთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა. მალე ქალთა განყოფილებაც გაიხსნა, თუმცა ეს საკმაოდ ძნელი საქმე იყო, რადგან იმ დროს ქალების სპორტში მეცადინეობა საძრახისად ითვლებოდა.

ქალთა განყოფილების მუშაობაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა გიორგის და—თამარი, როდესაც ის დროგამოშვებით ჩამოდიოდა ხოლმე ძმასთან სტუმრად. თამარი—ცნობილი მოვარჯიშე და პედაგოგი — იუზოვკის ქალთა განყოფილების ერთ-ერთი ფუძემდებელი და მოამაგე იყო.

გაზრდილ მოთხოვნილებას კვირაში უკვე ხუთი დღე დაჭირდა. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ბრძმედების საამქროში დღეში 12-13 საათს და ხშირად მეტსაც რჩებოდა დღის ცვლაში მუშაობის დროს, არც ერთ მეცადინეობას არ აკლდებოდა.

აღსანიშნავია, რომ რომელიმე იარაღზე ვარჯიშობაში სპეციალურად დახელოვნება უარყოფილი იყო; დიდად ფასდებოდა ყველა იარაღზე თანაბარი მიღწევები. უარყოფილი იყო აგრეთვე სპორტული ხასიათის შეჯიბრებათა ხშირი მოწყობა, რომლებიც ხელს უშლიდნენ სისტემატურ მეცადინეობას წინასწარ შედგენილი განრიგის მიხედვით.

ყოვლად დაუჯერებელი და შეთითხნილია ისაკოვის წერილში მოთავსებული ინფორმაცია, თითქოს გიორგი ნიკოლაძეს მუშების მთელი ჯგუფი გაერიცხოს მოვარჯიშეთა რიგებიდან. პირიქით, გიორგი სულ იმის ცდაში იყო, რომ რაც შეიძლება მეტი მუშა ჩაება ჩვენს წრეში, მაგრამ მაშინ ეს ადვილი საქმე როდი იყო. მეშახტეები დღეში 10 საათს მუშაობდნენ, მეტალურგები კი —12-ს. ხანგრძლივი, მძიმე მუშაობის შემდეგ მოქანცულ მუშებს ვარჯიშის თავი აღარ ჰქონდათ, ამიტომ ქარხნის მუშების რიცხვი მოვარჯიშეთა შორის შედარებით მცირე იყო. ვარჯიშს უფრო გონებრივი მომუშავენი და მოსწავლე ახალგაზრდობა ეტანებოდა. ყოველ შემთხვევაში, იუზოვკის ტანვარჯიშული საზოგადოების წევრები მხოლოდ მშრომელნი იყვნენ, თვით საზოგადოება კი უაღრესად დემოკრატიული პრინციპების მატარებელი იყო და მისი ბურჟუაზიულად გამოცხადება ისაკოვის ფანტაზიის ნაყოფია.



ისაკოვს ქრონოლოგიაც აურევია, აბა როგორ შეიძლებოდა გიორგი ნიკოლაძეს 1905 წელში იუზოვკის „სოკოლიდან" მუშები გაედევნა, როცა იგი იმ დროს თბილისის გიმნაზიაში სწავლობდა და იუზოვკაში მხოლოდ 1913 წელს ჩავიდა? მე პირადად იუზოვკაში ჯერ კიდევ „სოკოლის" დაარსებამდე ჩავედი (1913 წ.) და გიორგის იუზოვკიდან წასვლის შემდეგ (1915 წ.) მის მაგივრად მე დავრჩი. არავითარ ისეთ შემთხვევას, რომელიც ისაკოვის წერილშია მოტანილი, ადგილი არა ჰქონია და გიორგის მუშებისადმი უდიდესი მოპყრობა თავიდან ბოლომდე ჰქონია.

გიორგი დონბასელ მუშებს ძლიერ უყვარდათ და პატივსა ცემდნენ. საკმარისია აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ რევოლუციის შემდეგ, როცა იენაკიეველმა მეტალურგებმა არასასურველი ადმინისტრატორები ქარხნიდან გააძევეს, გიორგი ბრძმედების საამქროს უფროსად აირჩიეს. მუშების გიორგისადმი პატივისცემაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტიც. 1915 წელს გიორგი ავად გახდა. საავადმყოფოში მოვათავსეთ და ავადმყოფთან დღე და ღამ ქარხნის მუშა-მოსამსახურეების მორიგეობა მოვაწყეთ. მორიგეობის მსურველთა რიცხვი ყოველთვის საჭიროზე მეტი იყო და ზოგი მათგანი ძალზე ნაწყენი დარჩა, როცა მორიგეობა არ შეხვდა. რადგან გიორგისთან მეგობრული დამოკიდებულება მაკავშირებდა, შეიძლება მე ვერ ვიყო მისი ობიექტური შემფასებელი, ამიტომ მინდა მოვიყვანო ორი ადამიანის გამოხმაურება ისაკოვის წერილზე: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ი. პ. ბარდინის და ყოფილი იუზოვკელი მუშის, იური ხარხარდინისა.

ი. ბარდინი გიორგისთან ერთად მუშაობდა იუზოვკაში. ჩვენს შეკითხვაზე ისაკოვის წერილის შესახებ, მან ვრცელი პასუხი მოიწერა, რომელშიც ვკითხულობთ: „ვისაც მოუსმენია გიორგის გამოსვლები, ვისაც უნახავს იგი მუშაობაში და ხალხთან დამოკიდებულებაში—არასდროს არ მიაწერს მას ყოყოჩობას თვითდამშვიდებას. სრულებით წარმოუდგენელია, რომ გიორგის ოდესმე უშვერი სიტყვით მიემართა ვინმესათვის, ან აემაღლებინა ხმა. მუშები გიორგი ნიკოლოზის-ძეს დიდი პატივით ეპყრობოდნენ"...

„... იგი მეხსიერებაში დარჩა როგორც ნათელი სახე რევოლუციამდელი საძაგელი ცხოვრების ფონზე. იმ დროს გიორგი ნიკოლაძე ახალგაზრდობისათვის ისეთ მაგალითს წარმოადგენდა, რომლისაკენაც ყოველთვის უნდა მიისწრაფოდე. გ. ნ. ნიკოლაძე კარგად ახსოვთ არა მარტო მის მშობლიურ საქართველოში, არამედ შორეულ დონბასშიც".

არა ნაკლებ შეშფოთებული იური ხარხარდინიც, რომელიც დღემდე მუშაობს ყოფილ იუზოვკაში, იწერება, რომ გიორგიმ, პროგრესულად განწყობილმა მოქალაქემ, იუზოვკაში ჩამოაყალიბა ფიზკულტურული ორგანიზაცია, რომლის წევრები მხოლოდ მშრომელები იყვნენ, რომ გიორგი მაღალკულტურული და ამავე დროს არაჩვეულებრივად უბრალო ადამიანი იყო, რომელსაც სძულდა მუქთახორები.

ხარხარდინს ვერ წარმოუდგენია გიორგის მუშებისადმი უდიერი მოპყრობა. ის იგონებს გიორგის ბრძოლას ქ. იუზოვკის ბოქაულთან, რომელიც ყოველივე პროგრესულ წამოწყებას და მათ შორის ტანვარჯიშულ საზოგადოებასაც უნდო თვალით უყურებდა. ამ ბოქაულმა გიორგი, როგორც „მეამბოხე" კინაღამ გაასახლა იუზოვკიდან.

ისაკოვის წერილზე ბევრი გამოთქვამს უკმაყოფილებას, მაგრამ ეს წერილი ისედაც საკმაოდ ვრცელია და შეუძლებელია ყველაფრის აქ მოტანა.

გიორგი ნიკოლაძის მრავალფეროვან მოღვაწეობაზე ბევრი დაწერილა ბევრიც კიდევ დასაწერია. ვფიქრობ, ზედმეტია გიორგის გამოსარჩლება „ლელოს" მკითხველების წინაშე. მაგრამ ზედმეტი არ იქნება პასუხი მოეთხოვოს უპასუხისმგებლო „მწერალს" დიდი მოღვაწის ხსოვნის ასე მოურიდებლად შებღალვისათვის.

**ი. ლორთქიფანიძე,**
**სტალინური პრემიის ლაურეატი.**



ს უ რ ა თ ზ ე: მსოფლიო ჩემპიონი ჭოკით ხტომაში ბობ გუტოვსკი (აშშ) სიმაღლის გადალახვის დროს.

# კანონის მსახურის დასჯა

ფეხბურთს არც ერთ ქვეყანაში არ ჰყავს ისეთი ექსპანსიური გულშემატკივრები, როგორც ურუგვაიში. მოსკოვის დინამოელების ყოფნის დროს მონტევიდეოში გაიმართა ადგილობრივი პირველობის ერთ-ერთი კალენდარული მატჩი. ჩემპიონატის ლიდერი „ნასიონალი“ თამაშობდა რომელიღაც აუტსაიდერთან.

90 წუთის მანძილზე, როგორც მოედანზე, ისე ტრიბუნებზე, რაღაც განსაცვიფრებელი ამბები ხდებოდა. გაუთავებელი ყვირილი არ შემწყდარა შესვენებაზეც და როდესაც თამაში განახლდა, ხმაურმა ახალი ძალით იფეთქა. მაგრამ მაყურებელთა ექსპანსიამ კულმინაციას მიაღწია მაშინ, როდესაც მსაჯმა ერთ-ერთ მოთამაშეს დაუპირა მოედნიდან გაძევება. დამნაშავე გაჯიუტდა. მსაჯი იძულებული გახდა დახმარებისათვის პოლიციელი მოეწვია. კანონის დამცველმა დიდი ჩხუბის და დავიდარაბის მიუხედავად შეძლო მსაჯის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა.

მაყურებელი ამან მთლად გადარია. თამაშის დამთავრების შემდეგ მაყურებელთა დელეგატებმა პოლიციის სამმართველოს სთხოვეს „დამნაშავე“ პოლიციელის თავი. სამმართველომ, რა თქმა უნდა, დელეგატების თხოვნას უარით უპასუხა და პოლიციელი დროებით ცალკე კამერაში — უვნებელ ადგილას მოათავსა. პოლიციელის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა, მაგრამ განსაცდელში იყვნენ პოლიციელის ოჯახის [illegible] ჩატარება და მათი მოყვანა სამმართველოში.

მაყურებლები გვიან მიხვდნენ, რომ მათ წააგეს ბრძოლა პოლიციასთან და ამიტომ უფრო გამწარდნენ. შურისძიება შეიძლებოდა მხოლოდ ობლად დარჩენილ სახლზე. გამხეცებულმა მაყურებლებმა გაარღვიეს პოლიციელთა ალყა, დაანგრიეს „დამნაშავის“ სახლკარი და შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს მას.

ასე ძვირად დაუჯდა კანონის მსახურს მსაჯის გადაწყვეტილების შესრულება.

## ფეხბურთში მსოფლიო პირველობის გარშემო

## ფიფას სხდომაზე

12-13 თებერვალს ციურიხში მიმდინარეობდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელმაც განიხილა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები.

ოფიციალურად იქნა გამოქვეყნებული ფიფა-ს გადაწყვეტილება, რომ 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი ჩატარდება ჩილის საფეხბურთო მინდვრებზე. ფიფა-ს ხელმძღვანელობამ მიიღო საგარანტიო წერილი ამ ქვეყნის საფეხბურთო ფედერაციის ხელმძღვანელობისაგან, რომ მას შეუძლია ჩაატაროს თავის მინდვრებზე ასეთი მასშტაბის შეჯიბრება.

შეიქმნა შვეციის საფინალო ტურნირის სააპელაციო ჟიური, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: ფიფა-ს პრეზიდენტი ა. დრიური (ინგლისი), ჟიურის თავმჯდომარე მ. ანდრეევიჩი (იუგოსლავია), ა. სალემი (ეგვიპტე), ე. ბორერო (კოლუმბია) და დ. სკინერი (ჰონკონგი).

ფიფა-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა ყოველგვარი განხილვის გარეშე უარჰყო ავსტრიის პროტესტი, რომელიც შეტანილი იყო ფინალის მონაწილე გუნდების განაწილების გამო კენჭისყრისას. (როგორც ცნობილია, კენჭისყრა ჩატარებულ იქნა უნგრეთის საფეხბურთო ფედერაციის წინადადების მიხედვით). ფინალის მონაწილე 16 გუნდი დაყვეს ტერიტორიული ნიშნის მიხედვით. 4 სხვადასხვა ყუთში ჩადებულ იქნა ბარათები გუნდების დასახელებით: პირველში — არგენტინა, ბრაზილია, პარაგვაი და მექსიკა; მეორეში — ინგლისი, შოტლანდია, უელსი და ჩრდ. ირლანდია; მესამეში — სსრ კავშირი, უნგრეთი, იუგოსლავია და ჩეხოსლოვაკია; მეოთხეში — გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა, საფრანგეთი, შვეცია და ავსტრია. შემდეგ ყოველი ყუთიდან ამოქქონდათ თითო ბარათი, რის მიხედვითაც შედგა 4 ქვეჯგუფი 4 გუნდის შემადგენლობით თვითეულში.

განვლილ სხდომაზე ფიფა-მ თანაგრძნობა გამოუცხადა ინგლისელ ფეხბურთელებს „მანჩესტერ იუნაიტედის“ კატასტროფის გამო.

## ყოველი მხრიდან

⊙ **გლაზგო.** შეხვედრა კრივში შოტლანდიისა და ფინეთის მოკრივეთა შორის დამთავრდა ფინელთა გამარჯვებით — 12:8.

* * *

⊙ **ვაშინგტონი.** ამერიკელმა სპრინტერმა დ. ზიმმა 80 იარდი გაირბინა 7,8 წამში. ეს მსოფლიო რეკორდის გამეორებაა.

* * *

⊙ **სან-სებასტიანი.** საერთაშორისო მძლეოსნური კროსი 12.000 მეტრზე მოიგო ემილ ზატოპეკმა, რომლის შედეგია 39.55,3.

⊙ **ლონდონი.** აქ გაიმართა მატჩი კრივში ევროპის ჩემპიონის წოდებაზე ქვესაშუალო წონის პროფესიონალთა შორის. ერთმანეთს შეხვდნენ პ. უოტერმანი (ინგლისი) და ვ. მარკონი (იტალია). მე-14 რაუნდზე გამარჯვება ტექნიკური ნოკაუტით მიეკუთვნა უოტერმანს.

* * *

⊙ **მელბურნი.** საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში ვაჟთა შორის მოიგო ავსტრალიელმა ა. კუპერმა, ქალთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა ა. მორტიმერი (ინგლისი).

## „დახურული დარბაზის“ მსოფლიო რეკორდები

ჟურნალმა „სპორტოვეცმა“ დაბეჭდა დახურულ შენობაში მსოფლიოს არაოფიციალური რეკორდების ცხრილი. აი როგორ გამოიყურება იგი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 60 იარდი | ჰოლიდეი | 6,0 | 1924 წ. |
| 100 „ | ზიმი | 9,5 | 1956 წ. |
| 440 „ | კოჰრანი | 48,2 | 1942 წ. |
| 800 „ | სიუელი | 1.50,3 | 1957 „ |
| 1000 „ | სიუელი | 2.08,2 | 1955 „ |
| 1 მილი | ნილსენი | 4.03,6 | 1955 „ |
| 2 მილი | აშენფელტერი | 8.50.5 | 1952 წ. |
| 3 „ | რისი | 13.45,7 | 1942 „ |
| 400 მეტრი | კოჰრანი | 47.9 | 1942 „ |
| 800 „ | სიუელი | 1.49,7 | 1957 „ |
| 1500 „ | სანტე | 3.48,3 | 1955 „ |
| 5000 „ | რიტოლა | 14.23,2 | 1925 „ |
| 60 იარ. თ./რ. | კელჰაუნი | 7.1 | 1956 „ |
| 70 „ „ | ატლესეი | 8,3 | 1952 „ |
| სიგრძე — | ოუენსი | 7,85 | 1935 „ |
| სიმაღლე — | ვისნერი | 2,10 | 1953 „ |
| ჭოკი — | უორმერდამი | 4,79 | 1943 „ |
| ბირთვი — | ობრაიენი | 18,72 | 1956 წ. |

საყურადღებოა, რომ ძირითადად ყველა რეკორდები ეკუთვნით ამერიკელებს. ზემოაღნიშნულ ცხრილში მოხვდა მხოლოდ ორი ევროპიელი—ნილსენი (დანია) და რიტოლა (ფინეთი). ეს გასაგებიცაა, რადგან არსად არ არის განვითარებული დახურულ შენობაში შეჯიბრებები ისე, როგორც შეერთებულ შტატებში.

# სვანური ჭიდაობა

1.

ოცდახუთი წლის შემთხვევას
გეტყვით —
ამბავი არც თუ მეტად ძველია!
გრგვინავს ლაღუმი სვანეთის
მთებში, —
მალე მანქანის გუგუნს ელიან.
ანგრევენ ძველი გრანიტის
კლდეებს
და აშენებენ ახალ ცხოვრებას,
ჯგუფიდან ჯგუფში დადის
ოსტატი —
ღირს იმ დღეების დამახსოვრება!
„ლომი ყოფილა ისლამ ჭკადუა,
კაცი სიხარულს როგორ დამალავს!
რამდენი ლოდი მოუნგრევია
ლახამულელთა უდრეკ ფალავანს!“
წყნარად იცინის მორცხვი ვაჟკაცი
და ხელში რკინის ძელს
ატრიალებს
მისი კუნთები შეუმჩნეველი
არ დარჩებოდა მხატვრებს.
სუჰამერები დასაბამიდან
გოლიათები ყოფილან ტანად;
ასეთი იყო ისლამის პაპაც
და ასეთია ისლამი თავად.
უშურველ ყმაწვილს ეძახდნენ
ისლამს,
ვაჟკაცობაშიც დარჩა კეთილად:
პაპას აჩუქა ძველი სვანეთი —
უგზო, უძმო და კარჩაკეტილი.
ულვაშებს იგრეხს ფარული
ჩიჩო,
და პაქრობის ცეცხლი ჩაღდება:
„კლდეს კარგად ანგრევს ისლამი,
მაგრამ
ჩვენს მაჰარბესთან ვერას
გახდება“.

ფერი ეცვალათ ლახამულელებს—
მსგავსი შერცხვენა როგორ
იქნება!
— თუ დღეს მაჰარბემ დასცა
ისლამი,
გაგვიჭირდება ჯუფთის მიგნება!
შუბლი შეიკრა ისლამმა
რისხვით,
ხედავს — ეს ხალხი აღარ იშლება,
და ეუბნება თანასოფლელებს
შემოჯარულებს კითხვის
ნიშნებად:
„—დღეს საჭიდაოდ არა მცალია—
მიუვალ მთებში ვცხოვრობთ
ჩიტივით;
ვიდრე მანქანის გრიალს
მოვისმენ,
მხოლოდ კლდეებთან მინდა
ჭიდილი“.
მაგრამ აქ არის ქალი და კაცი,
საქმე ძნელად თუ ჩაივლის
ასე! —
ო, დღეს სვანები სად იქნებიან,
თუ არა თავის მომავლის გზაზე!
დღეს ყველამ უნდა გადასდოს
განზე
საშური საქმე, ძილი და ვნება;
დღეს წერაქვს იღებს თვითონ
მაჰარბე,
ქედმაღალი და მუდამ თავნება.
აქ არის თვითონ ისლამის
სატრფო,
ყირმიზ პაგეზე ღიმილი შვენის:
„თუ დღეს დაცემას აპირებ,
ისლამ,
ჯობს დააბრუნო ნიშანი შენი“.
შერცხვა შეუმჩნევლს, შეიკრა
შუბლი,
შეიკრა მკერდზე საკინძე
ვერცხლის,
შეიკრა წელზე ვერცხლის
ქამარი —
ხარის მკერდი აქვს, სილაღე —
მერცხლის,
გადის უსიტყვო, პირქუში,
მძიმე —
მაინც პავშივით წორცხვი და
სწრაფი;

2.

ულვაშებს იგრეხს ფარული
ჩიჩო,
მოთმინებისა უწყდება ძაფი.
სამ დღეს ამზადა თურმე მაჰარბე,
დღეს მოიყვანა დასვენებული.
და თუ ისლამი ოფლით სველია,
ის არყით არის დასველებული.

3.

სვანი ყოველთვის ერკინებოდა
მთებსა და ზვავებს, ჭირსა და
სნებას.
მაგრამ ვაჟკაცთა ჭიდილი მუდამ
სჯარბობდა ყველა ტკივილს და
შვებას.
თუ წააქციეს... მაგრამ უცქირეთ,
უკვე ერთმანეთს დასტაკებიან!
გაწყდა ისლამის ვერცხლის
ქამარი,
და ბრძოლის ბედიც გასაგებია!
ჩიჩომ შესძახა: „შეჰკარ, მაჰარბე!
რას დაატარებ განდაგან
წუპარად!“
„— ნუ ჩქარობ, ჩიჩო! ქამარი
გაწყდა,
ქამრის პატრონი ხომ არ
გამწყდარა!“
უქმენს ისლამიც ამ პაქრობას,
ორბის თვალებით მიდამოს
ზვერავს
და ყრუ დუმილში სულ ერთი
წამით
იჭერს ნანოლას უსიტყვო
მზერას.
ჯიქურ აზიდავს მოხრილ
მაჰარბეს,
გაეტმასნება მის გულის ფიცარს,
გაჰკრავს მოგვერდულს, და
როგორც ბატკანს,
დასცემს, დააკრავს ბეჭებით
მიწას.
თითქოს იელვა... თითქოს იქუხა..
არა, ეს იყო ქუხილი ტაშის.
თითქოს წაიქცა ჭალარა ჩიჩო
და არა მოყმე, ქებული მთაში.
ხუმრობს მოხუცი ლახამულელი:
„— ჩვენ ვერ გაგვიძლო თვით
მახვში ფუთამ!
ვინც კარგად ანგრევს დასანგრევ
კლდეებს,
წასაქცევ კაცსაც წააქცევს
მუდამ“.
უხმოდ გაბრუნდა ამაყი ჩიჩო,
თავის რჩეულსაც არას ეტყოდა.—
ეს სიყვარულის ძლევის დღე იყო,
გზების დღე იყო, და რა
ეთქმოდა!...
ბოლმით აევსო მკერდი მაჰარბეს,
მოლზე ჩამოწვა სიმძიმე ლოდის,
ამ დროს გუგუნი გაისმა მთებში,
სვანმა შესძახა: „მანქანა მოდის!“
ის მოდიოდა ნატვრის დუმილში
ძმობად, შუქურად, იმედად,
ფიცად...
„ავტო“ — იქუხა ანაზდად
ხალხმა,
ვით ზღვაოსანი იტყოდა: „მიწა!“
მზემ გაანათა კლდეთა ხრიოკნი,
ქიშპობის სული თვალს აღარ
ნისლავს,
და დასაკრავად აწვდილი ხელი
სამმო ფიცივით ეხვევა ისლამს.

4.

ეს იყო მაშინ, როცა ჯერ კიდევ
ბევრი ზღაპარი სჯეროდა მახვშს,
საჭირო იყო ალპინისტობა,
რომ მისულიყავ საკუთარ სახლში,
როგორ იზრდა „უგზო სვანეთი“!
მოხუცის ჩანგი აღარა ჰგოდებს,
და ძველი შუღლი მოქიშპე
გვართა
ჩაჰყვა ენგურში ჩაწოლილ
ლოდებს.
დღეს მაჰარბალის ტურფა ასულს
თურმე ისლამის ვაჟზე თხოვდებ,
და ამას ითმენს ამაყი ჩიჩო,
რადგან ასეთი არის ცხოვრება!

ა. გელოვანი.

**რედაქტორი ი. უგულავა**


ſ 123
გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ.-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.